

მეხუთე ყოველკვარტალური ანგარიში საქართველოში ახალ ფსიქოაქტიურ ნივთიერებებთან დაკავშირებით არსებულ ვითარებაზე

(1 ივნისი 2015 – 31 აგვისტო 2015)

1. ყოველკვარტალური ანგარიშის მომზადება

„ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერებების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტი და „ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერებების გავრცელების აღკვეთის ხელშეწყობის სახელმწიფო კომისიის დებულების“ (დამტკიცებულია საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრისა და საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2014 წლის 13 მაისის №344/№01-30/ნ/№147 ერთობლივი ბრძანებით) მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტი ითვალისწინებს ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერებების გავრცელების აღკვეთის ხელშეწყობის სახელმწიფო კომისიის ვალდებულებას, გამოაქვეყნოს ყოველკვარტალური ანგარიში საქართველოში ახალ ფსიქოაქტიურ ნივთიერებებთან დაკავშირებით არსებულ ვითარებაზე.

მესამე ყოველკვარტალური ანგარიში ფარავს პერიოდს 2015 წლის 1 ივნისიდან 2015 წლის 31 აგვისტომდე.

2. სახელმწიფო კომისიის საქმიანობა

„ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერებების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6-მე-7 მუხლები და „ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერებების გავრცელების აღკვეთის ხელშეწყობის სახელმწიფო კომისიის შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრისა და საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2014 წლის 13 მაისის №344/№01-30/ნ/№147 ერთობლივი ბრძანება (შემდეგში - ერთობლივი ბრძანება) ითვალისწინებს ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერებების გავრცელების აღკვეთის ხელშეწყობის სახელმწიფო კომისიის (შემდეგში - სახელმწიფო კომისია) შექმნის, შემადგენლობისა და საქმიანობის წესს.

სახელმწიფო კომისიის შემადგენლობაში შედიან საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსა და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს წარმომადგენლები. აგრეთვე, ერთობლივი ბრძანების პირველი მუხლით განსაზღვრული კომისიის წევრთა გარდა, სახელმწიფო კომისიის შეხვედრებს, საჭიროებიდან გამომდინარე და კომისიის თავმჯდომარის მოწვევით, ესწრებიან შესაბამისი სპეციალისტები.

„ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერებების გავრცელების აღკვეთის ხელშეწყობის სახელმწიფო კომისიის დებულების“ მე-4 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, სახელმწიფო კომისია იკრიბება სისტემატურად, მაგრამ არანაკლებ თვეში ერთხელ. საანგარიშო პერიოდში, სახელმწიფო კომისიის სამდივნოს ორგანიზებით, სახელმწიფო კომისიის მეცამეტე შეხვედრა გაიმართა 2015 წლის 12 ივნისს; მეთოთხმეტე შეხვედრა - 2015 წლის 15 ივლისს; მეთხუთმეტე შეხვედრა - 2015 წლის 7 აგვისტოს. გაფორმებულია შესაბამისი ოქმები. შეხვედრების მიზანს წარმოადგენდა საქართველოში ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერებების შესახებ ახალი კანონმდებლობის იმპლემენტაციის, ახალ ფსიქოაქტიურ ნივთიერებებთან დაკავშირებული ტენდენციებისა და მთავრობისთვის წარსადგენი წინადადებების შესახებ დისკუსიის გამართვა და შესაბამის გამოწვევებზე რეაგირება.

3. სახელმწიფო კომისიის შეხვედრებზე დაფიქსირებული ძირითადი მიმართულებები:

➤ ქვეყანაში არსებული ვითარება კანონის მიღების შემდეგ

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, 2015 წლის ზაფხულის განმავლობაში ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერებების (ე.წ. „ბიონარკოტიკის“) უკანონო ბრუნვის ფაქტზე აღძრული იქნა სისხლის სამართლის 57 საქმე; ბრალდებული იქნა 61 პირი. შესაბამისად, სიტუაცია სტაბილურია და კონტროლს ექვემდებარება, რაც დადებითად მეტყველებს სამინისტროს მიერ განხორციელებული ზომების მნიშვნელობასა და აუცილებლობაზე.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მონაცემებით, მეხუთე ყოველკვარტალურ საანგარიშო პერიოდში გამოკვლეული ობიექტების საერთო წონა შეადგენს 924.63936 გრ.-ს.

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ წარმოდგენილი ინფორმაციით, საანგარიშო პერიოდში ამანათის სახით ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერებების შემოტანის მცდელობის მხოლოდ ერთი შემთხვევა დაფიქსირდა. კერძოდ, საფოსტო გზავნილი, 5 გრამის ოდენობით.

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ წარმოდგენილი ინფორმაციით, საანგარიშო პერიოდის განმავლობაში არ შემოსულა არც ერთი სპეციალური შეტყობინება ნარკოტიკების კონტროლის საერთაშორისო საბჭოს (International Narcotics Control Board) საერთაშორისო ინიციატივის ფორმატში.